

## სანინალმდეგო პოლუსებზე

ევროპის საკლუბო ტურნირების დღეს, 3 ნოემბერს, ფეხბურთის მოყვარულებს საშუალება მიეცათ ტელევიზიით ენახათ სამივე საბჭოთა გუნდის გამოსვლა უცხოეთის სტადიონებზე. ჯერ კიევის დინამოელებმა ითამაშეს ჩემპიონთა თასზე სალონიკში პაოკთან, შემდეგ ბუდაპეშტის "ნეჰშტადიონიდან" გვაჩვენეს უეფა-ს თასის გათამაშების მატჩის მეორე ნახევარი ადგილობრივ "ჰონვედსა" და დონეცკის "შახტიორს" შორის, დასასრულ კი იქიდანვე გადმოსცეს თასების მფლობელთა თასის მერვედფინალური შეხვედრის მეორე ტაიმი ბუდაპეშტის „მტკ“-სა და თბილისის "დინამოს" შორის.

მდგომარეობა, რომელიც შექმნილი იყო ამ განმეორებითი მატჩების წინ, ყველამ კარგადა იცის. კიეველი და დონეცკელი ფეხბურთელები აშკარა ფავორიტების როლში გამოდიოდნენ სალონიკსა და ბუდაპეშტში, პირველ "რაუნდში" მოპოვებულმა გამარჯვებებმა (შესაბამისად 4:0 და 3:0) მათ ფაქტიურად შემდგომ ეტაპზე ასპარეზობის უქვევლი გარანტია მისცა, ხოლო, რაც შეეხება თბილისელებს, მათი ამოცანა გაცილებით უფრო რთული და ძნელად შესასრულებელი გახლდათ. საკუთარ სტადიონზე ანგარიშით 1:4 წაგებული თამაშის კომპენსირება მეტოქის მიწოდორზე მიეკუთვნება იმ სფეროს, რომელიც ისტორიაში სპორტულ გმირობად ითვლება.

რახან ეს სამივე მატჩი თანამიმდევრობით, ერთ მთლიანობაში ვნახეთ, თავისთავად წარმოიქმნა მათი ერთმანეთთან შედარების აუცილებლობა, ნებისთ თუ უნებლიეთ. პარალელური გაგავლეთ ცალკე კიევისა და დონეცკის გუნდების, ცალკე თბილისელთა თამაშებს შორის და დავინახეთ საერთო სურათი, რომელმაც ორ სანინალმდეგო პოლუსზე დააყენა უკრაინის გუნდებისა და დინამოელთა გამოსვლა. ფავორიტებმა ღირსეულად დაიცვეს თავიანთი პრესტიჟი, თბილისელებმა კი ოდნავაც ვერ გაამართლეს ის იმედი, რომელსაც მათზე ვამყარებდით. რა თქმა უნდა, ლაპარაკია არა იმაზე, რომ ჩვენმა გუნდმა ვერ შეძლო რევანშის აღება ანგარიშით 4:0 ან 5:1, რაც მას მეოთხედფინალში გასვლისთვის ესაჭიროებოდა, არამედ თვით თამაშის ხარისხზე, ნებისყოფის, საბრძოლო თვისებების გამოჩენაზე.

სულ სხვაგვარადა წარიმართა თბილისელთა მატჩი „მტკ“-სთან. ვიმეორებთ, ჩვენი გუნდის ამოცანა გაცილებით უფრო რთული და მძიმე იყო, უნგრელები, ცხადია, არ დათმობდნენ პირველი მატჩის მონაპოვარს, მაგრამ სწორედ ამ სიძნელეთა პირობებში იყო საჭირო მაქსიმალური შესაძლებლობით თამაში, ძალების მობილიზება და ნებისყოფის, სიმტკიცის გამოჩენა. დინამოელებმა კი ვერაფრით გამოიჩინეს თავი და არსებითად, უბრძოლველად დანებდნენ მონინალმდეგეს.

საკდესის ბუდაპეშტელი კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ სსრ კავშირის თასის მფლობელები საჭირო სერიოზულობითა და პასუხისმგებლობით არ მოეკინდნენ ამ ტურნირის მატჩებს, უნგრული პრესა ხაზს უსვამს თამაშის დაბალ დონეს. "ნეჰშპორტი" წერს, რომ არც ერთმა გუნდმა არ გამოავლინა ბრძოლის სურვილი, ხოლო "ნეჰსავა" მიუთითებს, რომ ძნელია გამოყო რომელიმე ფეხბურთელი საერთოდ, იმდენად უფერულად თამაშობდა ყველა.

უფერულად თამაშობდა თუ არა მტკ, ეს ჩვენ ახლა აღარ გვაინტერესებს, ვინაიდან მან შეძლო მეორე მატჩის მოგებაც (გოლი ბოლო, 90-ე წუთზე გაიტანა კორიტარმა და ისიც თავით, როგორც თბილისში იყო გატანილი 3 ბურთი), დინამოელთა გამოსვლამ კი გული დაგვწყვიტა ყველას, ვინც კი მათი ქომაგები ვართ. ჩვენი პრეტენზიები ეხება არა იმას, რომ გუნდი გამოეთიშა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის გათამაშებას, არამედ მას, რომ თბილისელებმა ბუდაპეშტში საინტერესო ვერაფერი აჩვენეს მაყურებელს, ადრევე დათმეს ბრძოლა და შინ ხელმოკარული დაბრუნდნენ, თუ თბილისში მათი წაგება ბევრი მოულოდნელი ფაქტორით იყო გამოწვეული, გუნდი თამაშობდა მაინც, უტევდა, იბრძოდა, გამუდმებით დაძაბული ჰყავდა მონინალმდეგე, "ნეჰშტადიონზე" კი მან სრული ინდიფერენტულობა გამოიჩინა. ვეთანხმებით "ნემსავას" კორესპონდენტს იმაში რომ ძნელია გამოყო რომელიმე ფეხბურთელი

თბილისელთაგან ყველა უხეიროდ თამაშობდა, რამდენადმე მაინც შესამჩნევი ინიციატივა არავის გამოუჩენია. ამასთან, კანთელაძემ გაფრთხილებაც მიიღო უხეშობისთვის.

სსრ კავშირის თასის შესანიშნავად ჩატარებული მატჩების შემდეგ თბილისელთა თამაშში მკვეთრ რეგრესს ვხედავთ, ამგვარი რამ ხშირად ხდება სპორტში, მაგრამ მდგომარეობის გამოსწორდება ჯერ კიდევ შეიძლება საკავშირო ჩემპიონატში: თბილისის "დინამოს" ორი გადამწყვეტი თამაში აქვს ჩასატარებელი დღეს მოსკოვში "ტორპედოსთან" და 13 ნოემბერს შინ-მოსკოველ თანაკლებელებთან.

**"ლელო", 6 ნოემბერი 1976 წ.**